სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

72053246118313

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N131042660

რეგისტრაციის თარიღი

02.10.2013 წ

ნოტარიუსი: ირმა ბერიძე
მისამართი: თბილისი,გრიგოლ რობაქიძის გამზირი N7, კორპ. N4-6
ტელეფონი: 2905754

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათასცამეტი წლის ორ ოქტომბერს მე, ირმა ბერიძეს, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, გრიგოლ რობაქიძის გამზირი №7, კორპუსი №4-6, მომმართა ბატონმა **მირზა ლობჭანიძე (დაბადებული 27.11.1945წ. ლენტეხი, პირადი №01001016528, მისამართი თბილისი პეკინის გამზირი II კვ. კორპუსი 10, ბინა 48)**. მან განაცხადა, რომ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იფქლი პირველი“-ს (ს/კ 404955198) დირექტორის ვახტანგ ბაკურაძის (პ/ნ 01017001775) წარმომადგენელი, თანახმად რწმუნებულება/მინდობილობისა დამოწმებული ნოტარიუს ქეთევან ძლიერიშვილის მიერ 19.08.2013წ. რეგისტრაციის №130845467 და მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მირზა ლობჭანიძემ მომმართა. შევამოწმე მისი უფლებამოსილება თანახმად ზემოთ მითითებული მინდობილობისა. მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. მე, ნოტარიუსმა ირმა ბერიძემ, წინამდებარე აქტი (მინდობილობა) წავუკითხე მას და განვუმარტე მისი შინაარსი. მან დაადასტურა, რომ აქტი (მინდობილობა) სრულად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მინდობილობა

მე, **მირზა ლობჭანიძე (მონაცემები მოცემულია ზემოთ), როგორც შპს "იფქლი პირველი"-ს დირექტორის ვახტანგ ბაკურაძის წარმომადგენელი,** შემდგომში **"მიმნდობი პირი"**, ამ მინდობილობით ვენდობი **ბიორგი თოხაძეს (დაბ. 06.06.1986წ. პირადი №01009018465)**, შემდგომში "მინდობილი პირი" მასზედ, რომ ჩასატარებელ საპროექტო სამუშაოებთან დაკავშირებით იყოს ჩემი წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში, მათ შორის იუსტიციის სახლში, ნებისმიერ არქივში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ქ. თბილისის მერიასა და მის დაქვემდებარებაში არსებულ ნებისმიერ სამსახურში, ქ. თბილისის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურში, გამგეობაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში. ჩემი, როგორც შპს "იფქლი პირველი"-ს დირექტორის ვახტანგ ბაკურაძის წარმომადგენელის სახელით შეიტანოს განცხადებები, მიიღოს და წარადგინოს საჭირო ცნობა და/ან დოკუმენტი, აწარმოოს მოლაპარაკებები, მიიღოს გადაწყვეტილებები პროექტის შეთანხმებასთან დაკავშირებით, გადაიხადოს კანონით დადაგენილი გადასახადები, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო საბუთს, რაც ამ დავალების შესრულებასთან იქნება დაკავშირებული.

მინდობილობა შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამ) ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან ერთი რჩება სანოტარო არქივში ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობ პირს.

მინდობილობა გაცემულია ექვსი თვის ვადით და ძალაშია 2014 წლის ორი აპრილის ჩათვლით.

გადახდილია საზღაური: 10.00 ლარი და რეგისტრაციის საზღაური 2.00 ლარი სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების №507 (29.12.2011წელი) 31.7-ე მუხლის და 39 მუხლის 1 პუნქტის საფუძველზე

მირზა ლობჭანიძე, როგორც შპს "იფქლი პირველი"-ს დირექტორის, ვახტანგ ბაკურაძის

წარმომადგენელი ----------

ნოტარიუსი ---------- ირმა ბერიძე

საქართველო. ნოტარიუსი ირმა ბერიძე GEORGIA. NOTARY IRMA BERIDZE *01001038016*